9(ქ.922)„13"

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი მაკალათია

დიმიტრი თავდადებული

К 3.050/1

თბილისი 1942 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტრფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად—ხმალი ხელში“.

(ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—დიმიტრი თავდადებული).

სპეგ-2000
შეკოწმებულია

დიმიტრი თავდადებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვიცით, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,
როცა ნდომობს თავგანწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა“.

(ი. ჭავჭავაძე—დიმიტრი თავდადებული)

საქართველოს ისტორიულ წარსულში სამშობლოსათვის თავგანწირვის დიადი და იშვიათი მაგალითი ჩვენ მოგვცა მეფე დიმიტრიმ, რომელიც ქვეყნის ხსნისათვის უშიშრად წარსდგა მონღოლთა ურდოში, წარსაკვეთად თავი დახარა და პოეტის (ილია ჭავჭავაძის) მიერ გარდათქმით სთქვა:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

ამის გამო მადლიერმა ქართველმა ერმა მას უწოდა თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი.

მაგრამ სანამ ჩვენ შეუდგებოდეთ დიმიტრი მეფის გმირული თავდადების ეპიზოდის გადმოცემას, საჭიროა

ზოგადად გავეცნოთ იმ მძიმე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიაც მას მოუხდა მოღვაწეობა. ეს იყო ჩვენში მონღოლთა ბატონობის პერიოდი, რომელსაც საქართველო მე-XIII-XIV საუკუნეში ერთბაშად დაადგა დაცემისა და დაკნინების გზას. მონღოლები ჩვენში ბატონობდნენ საუკუნე ნახევრის მანძილზე და ეს ხანა ისტორიაში სამართლიანად ითვლება დაქვეითების ხანად. ეს დაქვეითება გამოწვეული იყო უმთავრესად მონღოლების შემოსევებით შექმნილი საგარეო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობით.

მონღოლთა ულუსები (ტომები) ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ აზიაში. მე-XII საუკუნემდის მონღოლები ცალ-ცალკე ტომებად იყვნენ დაყოფილი და ეწეოდნენ მომთაბარე ცხოვრებას. მათში ერთ ერთ ტომს ეწოდება „მ ე ნ გ უ“, „მ ო ნ გ უ“ ან „მ ო ნ-გ უ-ლ ი“ და ამ ტომის გაძლიერებასთან ეს სახელი გადაიქცა ყველა ტომების საერთო სახელად. საქართველოში და რუსეთში მათ უწოდებდნენ თათრებს.

მონღოლების ისტორია ფაქტიურად იწყება მას შემდეგ, როდესაც მათ სათავეში მოექცა თ ე მ უ ჩ ი, რომელმაც 1206 წელს შემუსრა თავისი მეტოქე ხანები (ტომების მეთაურები) და გააერთიანა მონღოლების ქვეყანა. ამის შემდეგ ის აღიარებული იქმნა ყაენად (მეფედ) და მან მიიღო ჩ ი ნ გ ი ზ-ხ ა ნ ი ს სახელწოდება.

ჩინგიზ-ხანს განზრახვა ჰქონდა მონღოლების გაერთიანების შემდეგ გადასულიყო მეზობელ ქვეყნების დაპყრობაზე და ამ მიზნით მან შესძლო მთელი მონღოლეთი

გადაექცია სამხედრო ბანაკად და მონღოლები — კი გულად მეომრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1213 წლიდან ჩინგიზ-ხანი შეესია ჩინეთს, ... შემდეგ მან დაიპყრო ხვარაზმი, ბუხარა, ხორასანი და ირაქი. 1220 წ. მონღოლები დაზვერვის მიზნით შემოდიან საქართველოში, საიდანაც მათ გაიარეს დარუბანდი და აქედან გადავიდნენ ჩრდილოეთის მხარეში. 1236 წელს მათ დაიპყრეს მთელი რუსეთის ტერიტორია.

საქართველოში მონღოლები რამდენჯერმე შემოიჭრნენ (1220 და 1221 წლებში). 1235 წელს მათ აიღეს თბილისი და ჩქარა დაიპყრეს მთელი აღმოსავლეთი საქართველო. მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ვერ შესძლეს მაშინ მონღოლებმა ფეხის მომაგრება.

ამგვარად მონღოლებმა მოკლე ხანში ხელში ჩაიგდეს უზარმაზარი ტერიტორია შუააზიიდან დაწყებული დასავლეთ ევროპამდის და თავიანთ მოხარკედ აქციეს მრავალი სახელმწიფოები და ქვეყნები.

მონღოლებს ყველა დაპყრობილი ქვეყნები თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ და ამის გამო მეფე-მთავრებს ჩინგიზ-ხანისაგან უნდა მიეღოთ დამტკიცების სიგელი, რომლის მისაღებად ისინი იძულებული იყვნენ დიდი ძღვენით და საჩუქრებით ხლებოდნენ ჩინგიზ-ხანს შორეულ ურდოში (ურდო მონგოლურად ნიშნავდა ბანაკს).

მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებს დიდი გადასახადებით ბეგრავდნენ, რომლის ასაკრებად მიმართავდნენ მკაცრ ზომებს. ვინც გადასახადს დროზე არ იხდიდა, მას მოელოდა მონღოლთა მოხელეებისაგან სასტიკი სასჯელი,

სახელდობრ, ისინი გზავნიდნენ დამსჯელ რაზმებს, რომლებიც მოსახლეობას არბევდნენ, სწვავდნენ სოფლებსა და ქალაქებს და ხალხი ტყვედ მიჰყავდათ შორეულ ქვეყნებში.

მონღოლები თავდაპირველად კულტურულ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით მეტად დაბალ დონეზე იდგნენ. არ იყო მათში განვითარებული ხელოსნობა და ვაჭრობა, არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და კულტურა. მხოლოდ კულტურულად დაწინაურებული ერების დაპყრობის შემდეგ მათ გადმოიღეს უიღურული (ციმბირის თურქების) დამწერლობა და არაბ-სპარსელებისაგან მიიღეს მაჰმადიანური რწმენა.

თუმცა მონღოლებმა დაიპყრეს მრავალი კულტურულად დაწინაურებული ერები, რომლებსაც მძიმე გადასახადებით ტყავს აძრობდნენ, მათ ვერ შესძლეს დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის სათანადოდ ათვისება. წინააღმდეგ ამისა, მონღოლები დაპყრობილ ხალხებს უხშობდნენ კულტურულ შემოქმედების შესაძლებლობას, განსაკუთრებით სდევნიდნენ ქრისტიანულ რწმენასა და კულტურას, ანადგურებდნენ ქრისტიანულ ძეგლებსა და ეკლესია-მონასტრებს.

ამის გამო მონღოლთა ქვეშევრდომ ქრისტიანულ ქვეყნებში, რომელთა რიცხვში საქართველოც შედიოდა, კულტურულ შემოქმედების კერები ჩაიფერფლა და საზოგადოებრივი ცხოვრებაც დაადგა კულტურულ დაქვეითების გზას. ამას ხელს უწყობდა უმთავრესად მონღოლთა ეკო-

ნომიური პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი გადასახადები ამოექაჩა მოსახლეობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა ხარკიანობამ საქართველოს მოსახლეობას საარსებო საშუალებანი დაუშრიტა. ადგილ-მამული ჩალისფასად იყიდებოდა, ფული გაქრა, ფეოდალები საეკლესიო და სხვა მამულებს იტაცებდნენ, გლეხები სახლ-კარს სტოვებდნენ და გარბოდნენ. ამას ერთოდა აგრეთვე გადასახადების აკრეფის იჯარით გაცემის სისტემა და აგრეთვე მექრთამეობა, რომელიც ძლიერ იყო საყაენოში გავრცელებული.

მონღოლთა ბატონობის პერიოდს უმთავრესად ახასიათებდა შინაური დინასტიური ბრძოლები, რომელნიც გამომდინარეობდნენ მონღოლური მართველობის სისტემიდან. დაპყრობილ ქვეყნებს მონღოლთა ყაენები თავიანთ საკუთრებად სთვლიდნენ და ამ ქვეყნებს შემდეგ უყოფდნენ თავიანთ შვილებსა და ნათესავებს. ამგვარად მონღოლების ყაენს თავისი სახელმწიფო საგვარეულო საკუთრებად მიაჩნდა. მის მემკვიდრეებს უფლება ეძლეოდათ ამ საკუთრებიდან თავისი წილი მიეღოთ. ამიტომაც ასეთი მემკვიდრეობითი დამოკიდებულება ყაენთან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მონღოლების მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო ფაქტიურად ოთხ ნაწილად (საყაენოდ) გაიყო: 1) მთავარი საყაენო, რომელშიაც შედიოდა აღმოსავლეთი აზია მონღოლეთით და ჩინეთით, 2) ჯაგატაის სახელმწიფო შუა-აზიაში (ჯაგატაი იყო ჩინგიზყაენის შვილიშვილი), 3) ოქროს ურდოს სახანო აღმოსავლეთ ევროპაში, 4) ილხანების სახელმწიფო, რომელშიაც შედიოდა წინა-აზია (ირანი, შუამდინარეთი

და მცირე აზია). ამ სახელმწიფოს ემორჩილებოდა საქართველოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონღოლების საყაენოში დაკანონებული იყო მრავალცოლიანობა. ამიტომ, როდესაც ყაენი გარდაიცვლებოდა, მის მემკვიდრეებს შორის მაშინვე ატყდებოდა ტახტის გარშემო ბრძოლა და ყაენის შვილებში ვინც უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა, ის ადიოდა ყაენის ტახტზე. ეს იწვევდა ყაენის მემკვიდრეთა შორის სასტიკ ბრძოლას, რომელშიაც ჩათრეული იყვნენ ქვეშევრდომ ქვეყნების მეფე-მთავრებიც.

მონღოლების ზეგავლენით საქართველოც განიცდიდა მორალურ დაქვეითებას და საქართველოს მეფე-დიდებულებიც მონღოლების წაბაძულობით აშკარად არღვევდნენ ძველი დროიდან დამკვიდრებულ თავიანთ წესებს და თანდათანობით ითვისებდნენ მონღოლურ მაჰმადიანურ ჩვევებს. სხვათა შორის გახშირდა მრავალცოლიანობა, რასაც ქრისტიანული ეკლესია ებრძოდა. მაგრამ მეფე და დიდებულები ამას ანგარიშს არ უწევდნენ და ურჩ მღვდელმთავრებს თანამდებობიდან ხსნიდნენ და სდევნიდნენ.

ასე მოიქცა სხვათა შორის თვით დიმიტრი თავდადებულიც, რომლის შესახებ ქართველი მემატიანე მოგვითხრობს:

„აქამომდე მეფე დიმიტრი კეთილად მმართებელი... სისრულისაგან მცირედ მიდრკა, და აღერია წარმართთა და ისწავლა საქმენი მათნი უძღებისა და სიძვისა: გულისსიტყვისა უკანა შედგომილმან მოიყვანნა ცოლნი სამნი, რომლისათვისცა ნიკოლოზ კათალიკოზი განრისხებული უთქ-

მიდავე და ამხილებდა მრავლად და ვერ დაარწმუნა. (ბერ-ტომ) დაუტევა კათალიკოზობა“-ო.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ...ბული პოლიტიკური უთანხმოების გამწვავებას და სახელმწიფოს საზოგადოებრივი ზეგავლენის შესუსტებას.

აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლებს მაგრად ჰქონდათ ფეხი მომაგრებული, მათი ბატონობის ქვეშ მოქცეული იყო მთელი ქართლი მესხეთ-ჯავახეთით. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მონღოლებს აქაც გაულაშქრიათ და იმერეთის სამეფოც ნაკლებად განიცდიდა მონღოლების ბატონობის სიმძიმეს.

ამ დროს ქართლში მეფობდა დიმიტრის მამა ულუ-დავითი V, ლაშა გიორგის ძე (1259-1269), რომელიც სამეფო ტახტისათვის ამზადებდა თავის პირმშო შვილს დიმიტრის. დავით V, სახელწოდებით ულუ, რაც მონღოლურად ნიშნავდა უფროსს, იყო გულადი და ძლიერი ნებისყოფის მეფე, მაგრამ იგი იძულებული იყო შერიგებოდა მონღოლთა ბატონობას, ვინაიდან მონღოლებმა იგი აღადგინეს ტახტის მემკვიდრის უფლებაში და დაამტკიცეს საქართველოს მეფედ. ამასთანავე მონღოლები ცდილობდნენ დავითის გამოყენებას კავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის საქმეში და მას ერთგვარი ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ. ულუ დავითიც ამ ხელსაყრელ პირობებს იყენებდა თავის პოლიტიკურ მიზნებისათვის, რათა განემტკიცებინა მონღოლების ბატონობით შერყეული მეფის ძალა-უფლებები. ამ მიზნით ულუ-დავითი უახლოვდება მონღოლებს. ყაენის

მოწოდებით იგი იღებს მონაწილეობას მონღოლების შორეულ ლაშქრობაში, რომელშიაც მან თავი ისახელა ვაჟკაცობითა და გმირობით.

1258 წელს დავითმა ჰულაგუ ყაენთან ერთად გაილაშქრა შუამდინარეთში მაშინ უმდიდრეს ქალაქად ცნობილ ბაღდადზე. აქ დავითის ჯარმა ყაენს დიდი დახმარება აღმოუჩინა და 12 დღის ალყის შემორტყმის შემდეგ მონღოლებმა ეს ქალაქი აიღეს და გაძარცვეს. ამ ბრძოლაში ქართველებს დიდი გულადობა გამოუჩენიათ და გამარჯვებული დავით მეფე საქართველოში მდიდარი ნადავლით დაბრუნებულა.

ამის შესახებ ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: „რომ აღივსნეს თათარნი და ქართუელნი ოქროთა, ვერცხლითა, მარგალიტითა, ლარითა და არავინ აიღებდა, თვინიერ ოქროსა და ვერცხლისა...სხვანი ჭურჭელნი, სპილენძი და რკინა უპატიოდ მიმოდაიბნეოდა და ილეწებოდა, რამეთუ ესრეთ აღივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირი ცხენ-ჯორისა თვალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთა განტენიან, და ზოგთა ხრმალი ვადის პირსა მოსტეხიან და ქარქაში ოქროთა განტენიან და ზედ ვადა ჩააგიან. ზოგთა მკუდარი კაცი ბაღდადელი გამოწლიან და ოქროთა, თვალითა და მარგალიტითა განტენიან, და ვითარცა თვისი მკუდარი განიყვანიან გარეშე ქალაქისაო“-ო.

1251 წელს მუნქე ყაენმა მოლაშქრეთა და ხარჯის აკრეფის რაოდენობის გამოსარკვევად განიზრახა ყველა დაპყრობილი ქვეყნების აღწერა და გადასახადე-

ბით დაბეგვრა. ამ მიზნით ყაენმა ეს საქმე მიანდო არ-ლუნს, რომელმაც 1254 წელს მოახდინა საქართველოს სამეფოს მოსახლეობისა და მისი ქონების აღწერა. მონ-ღოლებმა აღწერეს: პირუტყვი, ყანა, ვენახი, წალკოტ-ბოსტანი და სხვა. ყაენმა არღუნს აგრეთვე უბრძანა შეედ-გინა მამაკაცთა სია 15 წლის ასაკიდან 60 წლამდის და 9 გლეხიდან ჯარში ერთი კაცი გაეყვანა.

არღუნის მიერ მოსახლეობის აღწერამ დიდი შიში გა-მოიწვია საქართველოში და ამის შესახებ მემატიანე მო-გვითხრობს:

„და ვითარცა არღუნი მოიწია საქართველოსა, დიდ-სა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი ამის სამეფოსანი, და იწყეს (მონგოლთ) აღწერად კაცთა-გან და პირუტყვთამ-დე, ყანით ვენახამდე, და წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშ-ქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და განაწესეს ძღვენი სოფლისაგან—ათასისა მხედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი. ხოლო ბევრისა (ათი ათასისა) მთა-ვარსა—ცხოვარი ერთი, და დრაჰკანი ორი, და მიზდი (ქი-რა) ცხენისა, თეთრი სამი, დღისა ერთისაო“-ო.

ამგვარად მოსახლეობის საქონლისა და ადგილ-მამუ-ლის აღწერის შემდეგ მონღოლებმა დააწესეს ძღვნის რაოდენობა: ათასის მხედრის უფროსს ეძლეოდა ერთი კრავი და ერთი დრაჰკანი (ოქროს ფული), ხოლო ამაზე მეტის უფროსს—კი ცხვარი ერთი, დრაჰკანი ორი და ცხე-ნის მიზდი (ქირა) სამი თეთრი (ვერცხლის ფული).

მაგრამ მონღოლებმა მარტო ეს არ იკმარეს და არ-

ლუნმა სავაჭრო გადასახადიც დააწესა, რომელსაც „ბაჟ-
ლა“ ეწოდებოდა: ყოველივე 100 თეთრის ნასყიდობაზე
3 თეთრი, ანუ 3% უნდა საყაენოდ გადაეხადა. ბაჟის
ბაჟის ამკრებად არლუნმა თბილისში დანიშნა ერთი სპარ-
სელი ხოჯა აზიზი. ეს მოხელე ისე გათამამებულა,
რომ მეფის სასახლისათვის ნაყიდ ცხვარზედაც გადასა-
ხადს მოითხოვდა: „ესოდენ უწესოებად მიიწია, რომელ
თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისყი-
დებოდეს, მას ზედაცა ხარაჯა წაულიან, რომელსა იგინი
ტამლად უწოდდეს“-ო, ამბობს მემატიანე.

ამას გარდა ორი ბეგარის მოხდაც სავალდებულო იყო:
ერთს ეწოდებოდა „ყალანი“, ქართულად „სალაშქ-
რო“, რომელსაც ფულად იხდიდნენ. მეორეს ერქვა „საი-
ამე“ და იხდიდნენ ყაენის ელჩებისა და მათი ცხენების
შესანახად.

ჩვეულებრივი სამეფო გადასახადების გარდა მოსახ-
ლეობას ახალ მძიმე ტვირთად დააწვა მონღოლების ასე-
თი დიდი ხარკი და ამან მეფიდან დაწყებული ყველა
წოდება შეაშფოთა, განსაკუთრებით იტანჯებოდა მოსახ-
ლეობის დაბალი წოდება, რომლის შრომით გაბატონე-
ბული არისტოკატია ცდილობდა ამოდენა ხარკის გა-
დახდას.

ამას ჩქარა მოჰყვა მოსახლეობის ეკონომიური და-
ქვეითება და გაღატაკება. ის ოქრო-ვერცხლის ფულები
თუ განძეულობა, რომელიც მაშინ საქართველოში მოი-
პოვებოდა, სწრაფად გაჰქრა და მონღოლების ხარაჯაში
და ბაჟში წავიდა. ფული გაძვირდა, საქონელი და მამუ-

ლი გაიაფდა და დაეცა, ხარკის გადასახდელად ყველას სჭირდებოდა ფული და ამის გამოც ფული ძვირდებოდა და მამული კი იაფდებოდა. ამას მოწმობს 1239 წლის რკონის სიგელი, რომელშიაც კახა ერისთავთ-ერისთავი სჩივის, რომ „ხარკობისაგან ოქრო ძუირად იყვის და სოფელი იეფად.. რაიც ათი ათას თეთრად ღირდის, ხუთი ათას თეთრად ძლივ გავყიდე“-ო. აქედან სჩანს, რომ მამული და საქონელი ერთი ორად გაიაფებულა, ფული კი გაძვირებულა.

ამას მოჰყვა მამულების იაფად დაგირავება თუ გაყიდვა, რათა როგორმე თავი დაეღწიათ მონღოლების მოხარკეობისაგან. ეს მით უმეტეს, რომ მონღოლებმა ხარკის აღებაში არავითარი შეღავათი და შებრალება არ იცოდნენ და ვინც გადასახადს ვერ გაიღებდა, მას შვილებს ართმევდნენ.

მონღოლების ამ მძიმე გადასახადებს მხოლოდ სასულიერო წოდება და მათი სამწყსო გადაურჩა სჯულის განურჩევლად:

„ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არ შეაგდო საზღვავი და არც ყალანი, ეგრეთვე შიხთა, და დარვეშთა (ე. ი. მაჰმადიან სამღვდელოთა) და ყოვლისა ჰსჯულისა კაცნი სამღთოდ გაჩენილნი ათავისუფლნა“-ო, ამბობს მემატიანე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკლესიაც მძიმე ქონებრივ მდგომარეობას განიცდიდა. მას შეუმცირდა შემოსავალი. ამასთანავე გაღარიბებული მემამულენი ახლა ცდილობდნენ მათ წინაპართა მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის

შეწირული მიწები უკანვე წაერთმიათ და თავს ასე იმართლებდნენ: „რა ვქნათ, ჟამისა ძნელბედობისა და საჭიროებისა გამო იძულებული ვართ მიმტაცებლობა ვიკადროთო“.

ამან გამოიწვია დიდი განხეთქილება სასულიერო წოდებასა და მეფის ხელისუფლებას შორის და ეკლესია მეფეს შეჩვენებით ემუქრებოდა. ამის გამო 1263 წელს სამღვდელოების მეთაურებმა მოიწვიეს საეკლესიო კრებაც, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მიემართა უკიდურეს ზომებისათვის, დაეკეტა ეკლესიები და შეეჩერებინა ყველა საეკლესიო წესების შესრულება. მაგრამ დავითმა შესძლო მწიგნობართ-უხუცესის ჭყონდიდელ ბასილ უჯარმელის მიმხრობა და ეკლესია აიძულა მამულები დაებრუნებინა შემომწირველებისათვის.

მონღოლების ამ დიდი ხარკიანობის მძიმე შედეგებს მწვავედ განიცდიდა საქართველოს სამეფო და თვით დავით მეფეც, რომელიც ერთგული სამსახურით ცდილობდა მონღოლების ბატონობის სიმკაცრის შენელებას. მაგრამ დავით V მიზანს ვერ აღწევდა და იგი უკმაყოფილო იყო, მით უმეტეს ხოჯა აზიზის ქცევით, რომელიც ისე გაკადნიერდა, რომ მეფის სამზარეულოში დაკლულ ცხვარზედაც კი ხარაჯას იღებდა.

ამასთანავე მონღოლებისაგან ხარკის შემცირება თუ შეღავათის მიღება არ იყო მოსალოდნელი და ამის გამო დავითმა შესცვალა თავისი წინანდელი პოლიტიკური დამოკიდებულება ყაენთან და განიზრახა აჯანყება.

1262 წელს ჰულაგუ ყაენმა დააპირა ეგვიპტეზე გა-

ლაშქრება და მან გაიწვია ულუ დავითიც, მაგრამ დავითმა სარგის ჯაყელის რჩევით ამაზე ყაენს უარი შეუთვალა. ეს იყო აშკარა განდგომა და როდესაც გამარჯვებული ყაენი ეგვიპტიდან დაბრუნდა, მან დავით მეფის დასასჯელად გაგზავნა დიდი ლაშქარი. აჯანყებული მეფე შეებრძოლა ყაენის ლაშქარს, მაგრამ დამარცხდა და გაიხიზნა იმერეთში, სადაც ის ნათესაურად მიიღო მისმა მამიდაშვილმა, რუსუდანის შვილმა ნარინ დავითმა (ნარინი მონღოლურად ნიშნავდა უმცროსს).

ჰულაგუ ყაენი ცდილობდა ულუ დავითის შერიგებას და ურჩევდა მას თავის სამეფოში დაბრუნებას. ამ დროს ჰულაგუ ყაენს საფრთხე მოელოდა ოქროს ულუსის ბრძანებელის ბერქა ყაენისაგან, რომელიც უტევდა მას ჩრდილოეთიდან და დიდი ჯარით აპირებდა დარუბანდისაკენ გალაშქრებას. ბერქას საწინააღმდეგო ბრძოლაში ულუ დავითს დიდი დახმარების აღმოჩენა შეეძლო. ამის გამო ჰულაგუ ყაენი დაინტერესებული იყო ულუ დავითის ქართლში გადმოსვლით. ულუ დავითი ამისათვის სხვათა შორის მოითხოვდა, რათა ყაენს ხელთ მიეცა მისთვის ხარჯების ამკრები ხოჯა აზიზი, რომელიც სასტიკად ავიწროვებდა საქართველოს მოსახლეობას და რომელმაც მასაც მიაყენა შეურაცხყოფა. ბოლოს მათ შორის მოხდა შეთანხმება. დავითი დაბრუნდა თბილისში. მას გადასცეს ხოჯა აზიზი, რომელზედაც დავითმა შური იძია 1262 წელს და მას თავი მოჰკვეთეს.

ამის შემდეგ ულუ დავითი წავიდა ყაენთან ურდოში, შეურიგდა მას და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყვე-

ლა იმ ბრძოლებში, რომელიც სწარმოებდა მონღოლთა ყაენებსა და ნოინებს შორის 1262—1270 წლის განმავლობაში. ულუ. დავითიც მონაწილეობას იღებდა ბაბაღაის სანაპირო ბანაკის „სიბა“-ს გამაგრებაში და სხვებთან ერთად მასაც ევალებოდა ყოველ წლიურად, გარკვეულ ვადით, თავის ლაშქრით მდგარიყო სიბაზე. ამ ბანაკიდან დავითი დროებით ჩამოდიოდა საქართველოში, სადაც საქმეებს განაგებდა ჭყონდიდელი და ისევ სიბაში ბრუნდებოდა.

მონღოლები აფასებდნენ დავითის პირად ვაჟკაცობას, სამხედრო საქმის ცოდნას და გამოცდილებას. ამის გამო შირვანის ბანაკიდან მას ძნელად ანთავისუფლებდნენ. შირვანი მონღოლების მაგარი ბანაკი იყო, რომლის მიზანს შეადგენდა ჩრდილოეთის საზღვრის დაცვა და გამაგრება.

ჰულაგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ 1265 წელს ყაენობა მიიღო მისმა მემკვიდრემ ა ბ ა ღ ა ‌ მ. ამ დროს მონღოლთა ყაენებსა და მათი მემკვიდრეთა შორის დაიწყო დინასტიური შუღლი და ბრძოლა. აბაღას საყაენოში შედიოდა მთელი ამიერ-კავკასია და საქართველოც. ამის გამო აბაღას აქაც უხდებოდა თეგუდარისა, ბერქასა და სხვათა წინააღმდეგ თავდაცვა.

1266 წ. ოქროს ურდოს (აღმოსავლეთ ევროპის) მონღოლები დარუბანდის კარით შემოესივნენ შირვანს და აიკლეს ეს მხარე. მაგრამ აბაღამ დიდი ბრძოლის შემდეგ მაინც შესძლო ბერქას ლაშქრის დამარცხება. ამიტომ აბაღას თავდაცვისათვის ესაჭიროებოდა ერთგული

და გულადი მოკავშირე და ამ მიზნით მან დაიახლოვა ულუ დავითი, რომელიც ამ დროს ქართველ ფეოდალებთან ერთად დიდ სამსახურს უწევდა მას შემოსეულ მტრებთან ბრძოლაში.

მონღოლების ერთგულ სამსახურით ფეოდალების ერთი ნაწილი ცდილობდა დაწინაურებას და პირადი უფლებისა და ძლიერების მოხვეჭას. ასეთები იყვნენ სხვათა შორის ავაგ ათაბაგი, სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი და სხვანი. ეს იწვევდა ფეოდალურ არისტოკრატიაში შურსა და ერთმანეთში მტრულ განწყობილებას, განსაკუთრებით სარგის ჯაყელისადმი, რომელიც აგრეთვე დიდად იყო დაწინაურებული ყაენის კარზე.

სასულიერო წოდებაც, რომელსაც ულუ დავითმა ბასილ ჭყონდიდელის რჩევით საეკლესიო მამულები ჩამოართვა და გადასცა შემომწირველებს, დიდად იყო უკმაყოფილო. სასულიერო წოდება ახლა ცდილობდა შური ეძია პირველ ვაზირ ბასილ ჭყონდიდელზე. ის მეფესთან დაასმინეს—მას სხვათა შორის შესწამეს მეფის უფლებების უზურპაცია.

მეფემ საქმის ვითარების სათანადოდ გამოუძიებლად ბასილ ჭყონდიდელი სასტიკად დასაჯა, მას თავი მოჭრეთეს და ძელზე ჩამოჰკიდეს.

ახლა სარგის ჯაყელის განდიდების მოშურნე ფეოდალები შეეცადნენ მტრობა ჩამოეგდოთ ულუ დავითსა და სარგის ჯაყელის შორის, რომელსაც შესწამეს მეფის ღალატი. მეფემ ამ შენთხვევაშიაც სისუსტე გამოიჩინა და სარგის ჯაყელი დაატუსაღა: „დაივიწყნა მსახურებანი მის-

ნი, განზრახვითა უკეთურთა კაცთათა მოუწოდა პალატად (ე. ი. სასახლეში) და შეიპყრა შინა და ტყუე ყო", ამბობს მემატიანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულუ დავითს უნდოდა სარგისისათვის სამთავროს ჩამორთმევა და მისი სასტიკი დასჯა, მაგრამ ამის შესახებ სარგისის მომხრეებმა მაშინვე აცნობეს ყაენს და სთხოვეს სარგის ჯაყელის განთავისუფლება. ულუ დავითიც იძულებული შეიქმნა ყაენის ბრძანებით გაენთავისუფლებინა სარგის ჯაყელი, რომელიც წავიდა ყაენთან და მას სთხოვა ყმობა და მფარველობა. ყაენმა ეს თხოვნა რასაკვირველია დიდის სიამოვნებით აუსრულა. და ამგვარად სარგის ჯაყელი თავისი სამფლობელოთი გახდა ულუსის კუთვნილება, ე. ი. უშუალოდ ექვემდებარებოდა ყაენს და მეფეს არ შეეძლო მას შეხებოდა. ამით საქართველოს ფაქტიურად ჩამოშორდა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხრეთი ნაწილი.

ამის შემდეგ სარგის ჯაყელი უფრო გაძლიერდა, ყაენმა მას დაუმტკიცა მთელი მესხეთის ერისთაობა. გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდის (1318 წ.) მესხეთის მფლობელნი უშუალოდ ემორჩილებოდნენ ეგრეთ წოდებულ ილხანებს, ე. ი. ჩინგიზ ყაენის დინასტიის იმ ხანებს, რომელნიც წინა-აზიას, ირანს, შუამდინარეთს და მცირე აზიას ფლობდნენ: „მიერითგან იქმნეს ჯაყელნი ულუსისანი ვიდრე ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსისა დიდისა გიორგისთა"-ო, ამბობს მემატიანე.

აი ასეთი გართულებული და მძიმე პოლიტიკურ პირობებში გარდაიცვალა ულუ დავითი V, რომლის შემ-

დეგ ქართლის მეფედ ყაენმა დაამტკიცა მისი მცირეწლოვანი შემკვიდრე დიმიტრი (1270—1289 წ.).

ახალგაზრდა მეფე დიმიტრი ფიზიკურად იყო ახოვანი, თავისი თვისებით გულადი ვაჟკაცი და ამასთანავე ქვეშევრდომთა მოსიყვარულე. ქართველი მემატიანე მას ასე ახასიათებს:

„იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვანი, ფერითა ჰაეროვანი, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარი და მშვენიერ, თვალთა გრემა, ბეჭ-ბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რამეთუ აქუნდა ჩვეულებაი აღილოს საფასე, და აღდგმის ღამე და მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი და თვისითა ხელითა მისცემდის ყოველთა“-ო.

დიმიტრი II ავრძელებდა თავის მამის პოლიტიკას. იგი კარგად გრძნობდა, რომ სამეფო ტახტის შენარჩუნებასთან ერთად მონღოლთა ბატონობის პერიოდში საჭირო იყო საქართველოს პოლიტიკური კავშირის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ტრაპიზონის სამეფოსთან, რომლის დამორჩილებას ცდილობდა ბიზანტიის კეისარი. ამ მიზნით დიმიტრი ცოლად ირთავს ტრაპიზონის მეფის ასულს და ასეთი ნათესაური კავშირით კვლავ აღდგენილ იქმნა საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფოს შორის წინად არსებული კავშირი.

დიმიტრი II ამასთანავე ცდილობდა მონღოლების

ერთგულ სამსახურით განემტკიცებინა სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ხელი შეეწყო ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისა და გაძლიერებისათვის. ამ ბრძოლაში იგი მონაწილეობას იღებდა მონღოლთა შორეულ ლაშქრობაშიც. 1281 წელს დიმიტრიმ 5000 ქართველ ჯარით მონღოლებთან ერთად გაილაშქრა ეგვიპტეში, სადაც ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ იბრძოდა მონღოლების დიდი ლაშქარი, რომლის რიცხვი აღწევდა 25.000 კაცს.

პირველი მნიშვნელოვანი ბრძოლა ქ. ლურბაზაკთან მოხდა, მეორე—კი ქ. ამასიის (ჰემსს) მახლობლად 1281 წ. 30 ოქტომბერს. ამ ქალაქს ეგვიპტის მანსურ სულტანი იცავდა თავისი ჯარით. მონღოლთა ლაშქრის სარდალი იყო მანგუ-დემური, რომელთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ნოინები (მთავრები): ალიყანი, სირმონის შვილი ებაგან, იასბულა და მეფე დიმიტრი.

ბრძოლის დაწყების წინ დიმიტრიმ სთხოვა მანგუ-დემურს, „რათა წინა-მბრძოლად განაჩინოს იგი და სპა (ჯარი) მისი; რომლისათვისცა ისმინა, და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი“. პირველ შეტაკებისას მეფე დიმიტრი და მისი მხედრობა გმირულად იბრძოდა. ქართველებმა სულტანის ბევრი ჯარი დახოცეს. მაშინ სულტანმა გამოიყვანა ახალი 12.000 რჩეული ლაშქარი ყარა-სუნლულისა და იაყუბის მეთაურობით. გაჩაღდა სასტიკი ომი, რომელმაც იმსხვერპლა ქართველთა ჯარის დიდი ნაწილი. მეფეს ცხენიც მოუკლეს. მის სიცოცხლეს

განსაცდელი მოელოდა, მაგრამ დიმიტრი გმირულად გა-
ნაგრძნობდა მტერზე შეტევას, სანამ ყარა-სუნლულის და
იაყუბის ლაშქარი ბრძოლის ველიდან არ გააქცია. ამის
შესახებ ქართველი მემატიანე ასე მოგვითხრობს: „განძ-
ლიერდა ომი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. მაშინ
მსწრაფლ ზედა მოეტევნეს მეფესა ყარა-სონლულ და ია-
ყუბ ათორმეტი ათასითა რჩეულითა მხედრითა. და
კვალად იქმნა სასტიკებაი ესე-ვითარი რომელ ორ ასი
მხედარი წინა-მბრძოლად განეწესნეს მეფესა, სრულიად
მოისრნეს, თვინიერ მეფისა და სამთა კაცთა და სამთა
ცხენთასა. ეგრეთვე ჰუნე (ცხენი) მეფისა მოიკლა ყარა—
სუნლულისა მიერ შუბითა: ხოლო მხილველთა ქართველთა
იწყეს ბრძოლა ძლიერად და უმრავლესნი მეგვიპტელნი
მოისრნეს და მეფეცა ცხენ-მოკლული იბრძოდა: ხოლო
ვითარ იხილა მეფე სიქანალის ძე-მან, აბაშ-მან, მყის აღსვა
მეფე ჰუნესა თვისსა. ვითარცა იხილეს მეფე ამხედრებული
ქართველთა. მაშინ ყოველნი ამხედრდეს, და მეოტ იქმ-
ნეს ყარა-სუნლულ და იაყუბ ათორმეტი ათასთა თვის-
თა თანა“-ო.

ამ ბრძოლაში სპარს-მონღოლები დამარცხდნენ, მან-
გუ-დემური და ნოინებიც გამოიქცნენ და მეფე დიმიტრი
თავისი ლაშქრით იძულებული იყო დაეტოვებინა ბრძო-
ლის ველი.

როდესაც აბაღა ყაენს ერთმა ლტოლვილმა თათარმა
ამცნო დამარცხების ეს ამბავი, ყაენმა მას გამოჰკითხა,
თუ როგორ იბრძოდნენ მისი სარდლები:

„ხოლო მან, კითხულმან, ყოველივე ლექსთა მიერ შეწ-

ყობით წარმოუთხრა, ენითა მათითა, თვითოეულისა მთავ-
რისა ვედრებაი. ალიყანისა-თვის თქვა ვითარცა ... ...
ლით მომავალი შავარდენი მოუხდა. და მანგუდემურ ვერძ-
სა მიამსგავსა, სირმონის შვილი ებაგან—მხლტომელსა
ვეფხსა და იას-ბუღა მოზვერსა, ბუღა კამბეჩსა, ხოლო
ქართველთა მეფისათვის ესრეთ თქვა, ენითა მათითა.
„თენგარიმეთუ ქაურქუბაი, ბუღარმეთუ ბუირლაჯი“. ესე
იგი არს, ვითარმედ „ვითა ღმერთი გრგვინვი-
დეს, ვითა აქლემი ბუღროობდეს-“ო.

მემატიანის ცნობით ამ ბრძოლაში გამოჩენილ გულ-
დობისათვის აბალა ყაენმა დიდი პატივისცემით მიიღო მე-
ფე დიმიტრი, დაასაჩუქრა იგი და საქართველოში გაის-
ტუმრა.

მონღოლების გამუდმებული ლაშქრობა ფიზიკურად
ანადგურებდა პატარა საქართველოს მოსახლეობას, რო-
მელიც მონღოლების მძიმე ხარკიანობის გამო ისედაც გა-
ნიცდიდა დიდ ქონებრივ გაჭირვებას. ეს გარემოება კი-
დევ უფრო მეტად ამწვავებდა არსებულ პოლიტიკურ ბრძო-
ლას სასულიერო წოდებასა და გაღარიბებულ ფეოდა-
ლურ არისტოკრატიას შორის. ამ ბრძოლაში დიმიტრი
მეფე გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიურ მოსაზრებით
ემხრობოდა ფეოდალურ არისტოკრატიას. ქვეყნის მძიმე
ეკონომიურ პირობების შესანელებლად სახელმწიფო იძუ-
ლებული იყო მოეხდინა საეკლესიო მამულების სეკულარი-
ზაცია მით უმეტეს, რომ სასულიერო წოდების ხელში
იყო დიდძალი მამული და ქონება. იგი ამასთანავე თავი-
სუფალი იყო მონღოლთა მოხარკეობისაგან.

ეკლესიის მესვეურები არ თანაუგრძნობდნენ ხალხის გასაჭირს და არც კი ფიქრობდნენ ასეთ მძიმე პირობებში დახმარება აღმოეჩინათ სახელმწიფოსათვის. ამის გამო მიუხედავად ეკლესიის წყევლა-მუქარისა დიმიტრიმ უშიშრად გაატარა ეს რეფორმა და ეკლესიას მამულები ჩამოართვა.

საქართველოს ეკონომიურ გაჭირვებას ამ დროს ზედ დაერთო სტიქიური უბედურება-საშინელი მიწის ძვრა, რომელმაც დაანგრია მრავალი სოფლები, ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები და სხვა. განსაკუთრებით დაზიანდა კახეთი და მესხეთი.

„საფუძვლიანურათ შეიძრა ქვეყანა და დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი, სახლნი და ნაშებნი მოოხრდეს, მთანი და ბორცვნი დაიზვინნეს. მიწა განიპო და შავი წყალი, მსგავსად კუპრისა აღმოიჭრა ქვეშითგან, ხოლო ხენი დაეცნეს და ირყეოდიან ძვრასა ქვეყნისასა, ვიდრე თთვისა ერთისა ჟამთამდე. ურიცხვი სული მოსწყდა“-ო, მოგვითხრობს მემატიანე.

ასეთი სტიქიური უბედურების შემდეგ მოსახლეობას რასაკვირველია ხარკის გაღება არ შეეძლო. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია თვით ა ბ ა ღ ა ყ ა ე ნ მ ა, რომელმაც მოახდინა მოსახლეობის ხელახალი აღწერა გასაგებათ იმისა „რომელი ქვეყანა აოხრდა, გინდა აღშენდა“. ამ აღრიცხვის შემდეგ მემატიანის სიტყვით გამოირკვა, რომ საქართველოში „უმრავლესნი მოოხრებული იყო, უმეტეს ჰერეთი და კახეთი“-ო.

მიუხედავად მძიმე ეკონომიურ პირობებისა, დიმიტრი II

შეძლებისდაგვარად ცდილობდა აღედგინა დანგრეული და გაპარტახებული სოფლები. ის ხელს უწყობდა გახიზნულ მოსახლეობის სოფლებში დაბრუნებას მიწების კვლავ დასამუშავებლად.

ამაზე ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ მეფემ „აღაშენნა ქვეყანანი მოოხრებულნი“-ო.

ამ დროს მონღოლთა ხანებს შორის დაიწყო ბრძოლა ყაენის ტახტის ხელში ჩასაგდებად, რაც კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა საქართველოს შინაურ პოლიტიკურ მდგომარეობას. საქართველოს მეფეებს ძალაუნებურად უხდებოდათ მონაწილეობის მიღება მონღოლთა მართველობის ამ შინაურ ბრძოლაში. ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი, რასაც მრავალი მსხვერპლი შეეწირა. დიმიტრი მეფეს, როგორც ერანის ილხანების ქვეშევრდომს, უნებლიეთ უხდებოდა მონაწილეობის მიღება მონღოლთა ამ დინასტიურ ბრძოლაში. ის სამეფოს ინტერესების დაცვისა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით იძულებული იყო მიმხრობოდა ერთ რომელიმე დაჯგუფებას.

1282 წელს გარდაიცვალა აბაღა ყაენი და ნოინებმა ყაენად დასვეს მისი ძმა თალუთარი, რომელმაც აღიარა ისლამის სარწმუნოება და იწოდა აჰმადად. დიმიტრი ერთგულების გამოსაცხადებლად წავიდა ურდოში, სადაც იგი მიიღეს პატივისცემით და აჰმადმა განამტკიცა მისი უფლებები. დიმიტრიმ ამასთანავე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით თავისი ასული რუსუდანი მიათხოვა

ერთ მთავარ ნოინს ბ უ ლ ა ს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ყაენის კარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულა ნოინი დიდ მფარველობას უწევდა დიმიტრის ყაენთან. ამ ბულას დახმარებით მეფე ცდილობდა შეემსუბუქებინა საქართველოსთვის მონღოლების ბატონობისა და ხარკიანობის სიმძიმე.

აჰმადი იყო სუსტი ნებისყოფის ყაენი და საყაენოს ფაქტიურად განაგებდნენ ნოინები. მას ჩქარა აუმხედრდნენ ილხანთა სახელმწიფოს ხანები, განუდგნენ მას და ყაენად დასვეს აბაღას შვილი ა რ ღ უ ნ ი. მაშინ აჰმადმა გაილაშქრა ხვარასანში და დასახმარებლად მოუწოდა მეფე დიმიტრის, რომელმაც შეკრიბა ლაშქარი და წავიდა ერაყში, სადაც არღუნი იყო გამაგრებული. გაერთიანებულ ქართველ-მონღოლთა ჯარებთან არღუნმა ვერ გაბედა შებრძოლება და გამაგრდა ქალასას ციხეში. ქართველ-მონღოლთა ლაშქარმა ამ ციხეს ალყა შემოარტყა. ძლიერი არღუნი იძულებული შეიქმნა თავის ბიძა აჰმადისათვის ეთხოვა პატიება და უვნებლობის ფიცი.

აჰმადმა შეპყრობილი არღუნი ნოინებს გადასცა იმ განზრახვით, რომ მცირე ხნის შემდეგ იგი მოეკლათ.

დიმიტრი მეფე მადლიერმა ყაენმა დიდის პატივით გამოისტუმრა საქართველოში: „ყაინმან დიდად დაუმადლა მეფესა თანახლებაი ხვარასანს და პატივიცა უყო დიდ და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა“-ო, ამბობს მემატიანე.

ბულას ჩაგონებით ნოინებმა ახლა ხელმეორედ მოაწყეს შეთქმულება, რომ მოეკლათ აჰმადი და ყაენად ისევ

არღუნი დაესვათ. ეს შეთქმულება ჩქარა სისრულეში იქმ-
ნა მოყვანილი. აჰმადი ჩამოახრჩეს და ბუღას დახმარე-
ბით ყაენად დაჯდა ა რ ღ უ ნ ი. ამის შემდეგ უფრო გაძ-
ლიერდა ბუღას გავლენა ყაენის კარზე. ბუღას მოწოდე-
ბისთანავე დიმიტრი მაშინვე განუდგა აჰმადის ჯგუფს,
მივიდა არღუნთან და მას განუცხადა მორჩილება; „ხოლო
მეფესა დიმიტრის პირველვე მიუმცნეს, რათა განეყენოს
აჰმადას, და ყოცა მეფემან, და მობრუნდა, და მოვიდა
ყაინს არღუნს წინაშე: ხოლო მან კეთილად შეიწყნარა,
და მოსცა ყოველი სამეფო თვისი და სახლი ავაგ ათაბა-
გისა, რამეთუ ყაინი ხელთა შინა ბუღასათა იყო და ბუ-
ღა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა“-ო, ამბობს
მემატიანე.

ამგვარად მეფე დიმიტრიმ ბუღას დახმარებით ყაენის
კარზე შეძლო საკმაო გავლენისა და პატივისცემის მოპო-
ვება, რაც ხელს უწყობდა მისი სამეფოს პოლიტიკურ-ეკო-
ნომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამას ქართველი
მემატიანეც აღნიშნავს: „ხოლო მან დიმიტრი მეფემან
მოიგო სიმდიდრე დიდად დიდი და მსახურებდა ყაინს
არღუნს. რამეთუ თანა შეეწეოდა ნოინი დიდი ბუღა, რო-
მელსა პატივად ჩინგსანგობა მისცა ყაინმან, რომელი-
ყოველთა უმეტეს არს“-ო.

მაგრამ ერანის ილხანის პირველ ვაზირის ბუღას ასე-
თი მფარველობა ბოლოს დიმიტრი მეფის ტრაგიკულ
აღსასრულის მთავარ მიზეზად გადაიქცა. ჩქარა გამომჟ-
ღავნდა, რომ ყაენის მიერ ჩ ი ნ გ ს ა ნ გ ო ბ ა მ დ ი ს (ეს
იყო მონღოლების უმაღლესი ხარისხი) აღზევებული ყოვ-

ლად ძლიერი ბუღა, რომელიც დიდის ნდობით იყო ყაენის მიერ აღჭურვილი, მონაწილეობას იღებდა არღუნის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. მაშინ არღუნმა გასცა ფიცხელი განკარგულება, რათა შეეპყრათ ბუღა, მისი მომხრე ნოინები და მთავრები.

1286 წელს სიკვდილით დასაჯეს ბუღა, მისი შვილი და ნათესავები. ასეთივე ბედი ეწიათ შეთქმულებაში მონაწილე ნოინებსა და მთავრებს.

ამის შემდეგ დიმიტრი მეფესაც, როგორც ბუღას მეგობარსა და მძახალს, დიდი განსაცდელი მოელოდა, მით უმეტეს, რომ მასაც შესწამეს ყაენის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება. მართლაც, მალე დიმიტრის გასაწვევად მოვიდა ყაენის ელჩიც: „და წარმოავლინა ელჩი მეფისად. მხმობელმან ყაენმან, და აწვია ურდოსა მეფე. ხოლო ვითარ სცნა სიკუდილი ბუღასი მეფემან, დაუმძიმდა დიდად“-ო.

დიმიტრიმ კარგად იცოდა, რომ შურისძიებით გაბოროტებული ყაენი მასაც არ დაინდობდა და ურდოში წასვლა ნიშნავდა სიცოცხლის განწირვას. ამიტომ მან მოიწვია სახელმწიფო დარბაზი და შეეკითხა, თუ როგორ მოქცეულიყო. ამ ამბავმა დიდი შეშფოთება გამოიწვია და მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ყველანი გაერთიანდნენ. თვით სასულიერო წოდება, რომელიც ებძოდა მეფის ხელისუფლებას, ახლა მას გვერდში ამოუდგა. გაერთიანებული სახელმწიფო დარბაზის წინაშე წარსდგა მეფე დამიტრი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავის ერისათვის თავგანწირვა და მოახსენა:

„ისმინეთ ჩემი ყოველთა, კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა ვითარმედ—შეისვენა მამამან, დავშთი ყრმა მცირე, მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან, დამიცვა და მიმაწია ჰასაკად სისრულისა და მომმადლა მეფობაი, და აქამომდე მშვიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაინი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყვედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა: ვჰგონებ ბოროტის ყოფასა, თუ არ წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო წინაშე მათსა ძეს. იხილეთ რავდენი სული ქრისტეანე სიკუდილსა მიიცემის და ტყვე იქმნების. და უკეთუ წარვიდე ყაინს წინაშე, დასტურობით უწყი—მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქვენითა განაგეთ. მე ესრეთ ვჰგონებ. მრავალ მღელვარე საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩვენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წავლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანაგვაძს წარსვლა სოფლისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს. რათა წარვიდე ყაინს წინაშე, და იყოს ნება ღვთისა. უკეთუ მე მომკლან, ვჰგონებ ქვეყანაი უვნებლად დარჩეს“-ო.

მეფის სიტყვამ ააღელვა მთელი დარბაზი, დიდებულები მეფეს ემუდარებოდნენ—ხელი აეღო თავგანწირვაზე. მას ურჩევდნენ მთიულეთში გახიზვნას და იქ გამაგრებას.

„არა არს ნაცვალი (მაგიერი) შენი, მეფეო. გაშორდ-
ლმერთმან მოკვლა თათართაგან. მოოხრდეს ქვეყანანი,
შვილნი შენნი მიმოდაიბნევიან. თუ ქვეყანაცა დაშთების,
რა არს ნაცვალი შენი. აწ გეზრახებით, რათა წარხვი-
დეთ სიმაგრეთა მთიულეთისათა, ანუ ათხაზთასა, ვითარ
ქმნა მამამან შენმან, და არა საჭირო არს განწირვა სუ-
ლისა შენისა. შენგან ჩვენ ყოველნი მტკიცედ ვჰგიეთ
ერთგულებასა“-ო.

მაგრამ სახელმწიფო დარბაზის ეს რჩევა დიმიტრიმ
არ მიიღო და შეურყეველი სიმტკიცით განაცხადა: „მე
დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და
არ დავიშლი ურდოს წასვლასა“-ო, ანუ პოე-
ტის სიტყვებისა არ იყოს:

„მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის—ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს—მთელის ერისათვის!

არა! წავალ, არ დავდგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა“.

(ი. ჭავჭავაძე, დიმიტრი თავდადებული)

მთელი დარბაზი სასოწარკვეთილებამ მოიცვა:

„მაშინ განკვირვებულნი ყოველნი აღდგეს და ჰრქუა აბრაჰამ კათოლიკოზმა: არა არს საქმე, მეფეო (უკეთესი) უკეთუ განსწირავ სულსა შენსა. რამეთუ მრავალთა მეფეთა მოურიდნია და დაუცავს სული თვისი. აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისთვის, ჩვენ ყოველნი ვიტვირთავთ ცოდუათა შენთა. უფროს ამისა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისათვის. და უკეთუ ერთისა მოყუასისათვის სულისა დადება კეთილი არს, რავდენ ურიცხვთა სულთა ცხოვნებაი ეგოდენ სარგებელ არსა“-ო.

კათალიკოზის სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა და სახელმწიფო დარბაზისაგან თანხმობის მიღების შემდეგ დიმიტრი შეუდგა სამზადისს ურდოში წასასვლელად. მან თავისი შვილები და ოჯახი წევრები გახიზნა საქართველოს სხვადასხვა მხარეში. მხოლოდ თავისი უფროსი შვილი დავითი, ტახტის მემკვიდრე, თან წაიყვანა იმ მოსაზრებით, რომ ყაენი მას შეიწყალებდა და დაამტკიცებდა ქართლის მეფედ—„იმისათვის, რომელ უეჭველ იქმნას ყაენი და ჰგონოს ერთგულება მისი“ ო.

დიმიტრი მეფე თავის ამალით რომ წავიდა ურდოსკენ, გზაზე მას შეხვდა ყაენის წარმოგზავნილი ნოინი, რომელმაც მეფეს ჩამოართვა ბარგი. ის შეპყრობილი მიიყვანეს ყაენთან: „მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი და მეფე პყრობილ ჰყო და მიიყუანა ყაინს არღუნს წინაშე“-ო.

ყაენმა დიმიტრი, როგორც ბულას მომხრე, მაშინვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 1. დიმიტრის ჭასვლა ურდოში.

დააპატიმრა. მაგრამ მეფის დასჯაზე თავს იკავებდა, ბოლო-
რე არ გამოირკვეოდა, თუ ვინ უნდა გამეფებულიყო
ქართლში მის შემდეგ. ამით ისარგებლა დიმიტრის პა-
რადმა მტერმა ხუტლუ-ბუღამ, რომლის მამა ხოჯა-
აზიზი მოკლულ იყო დიმიტრის მამის ულუ დავითის
მიერ. მან ყაენს მოახსენა, რომ ქართლში გაემეფებინა
იმერეთის მეფის ნარინ დავითის შვილი ვახტანგი,
რომელიც ყაენს დაუმორჩილებდა დასავლეთ საქართვე-
ლოსაც.: „ხოლო ჰრქუა ხუტლუ-ბუღა ყაინსა. ნუ იურვი
მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა და-
ვითისი, სახელით ვახტანგ, და მას მიუბოძე მეფობაი, რო-
მელ ორივე სამეფო ბრძანებასა შენსა ჰმორჩილებდეს-“ო.

ყაენს ეს წინადადება მოეწონა და ამ მიზნით საქართ-
ველოში მან გამოგზავნა ხუტლუ-ბუღა.

მონღოლური სამართლის მიხედვით შეპყრობილ მეფეს,
როგორც მოღალატეს, უნდა ჩამორთმეოდა პირადი ქონე-
ბა. ყაენის ბრძანებით, უნდა აღეწერათ „ყოველი სიმდიდ-
რე მისი (მეფისა), საჭურჭლე, ზროხა და ცხვარი და ყო-
ველი საქონელი მისი“-ო.

მეფის ქონების წამოსაღებად ყაენმა საქართველოში
გამოგზავნა თავისი მოხელე და მონღოლებმა „წამოიღეს
ყოველი“. ისე რომ მეფის ქონებისაგან „არა რა დაშ-
თა“-ო. მეფის სიმდიდრე თვით ყაენსაც გაჰკვირვებია:
„და მივიდა საჭურჭლე მეფისა ყაინს წინაშე, განჰკვირ-
და სიმრავლისათვის“-ო.

განსაცდელის ჟამიც ახლოვდებოდა. ვაზირ-დიდებუ-
ლები მეფეს სთხოვდნენ სიკვდილი აეცდინა და გაპარული-

ყო ურდოდან, მაგრამ დიმიტრი უარზე იდგა და ამბობ-
და, ისმინეთ ჩემი: „პირველვე უწყოდი სიკუდი-
ლი ჩემი, გარნა დავსდევ თავი და სული ჩე-
მი ერისათვის ჩემისა: ხოლო აწ, თუ წარვი-
დე, უბრალო ერი მოისრას. რა სარგებელ
არს, უკვე ყოველი სოფელი შევიძინო, და
სული წარვიწყმიდ“-ო.

ჩქარა ხუტლუ-ბუღაც დაბრუნდა საქართველოდან და
ყაენს მოახსენა, რომ იმერეთის მეფე დავითი თანახმაა
საქართველოს მეფედ წარმოგზავნოს თავის ძე ვახტან-
გიო.

ამის შემდეგ ყაენმა განკარგულება გასცა დიმიტრის
სიკვდილით დასჯის შესახებ. ყაენის განაჩენს მეფე გმი-
რულად შეხვდა და როდესაც ჯალათებს იგი თავის მო-
საკვეთად მიჰყავდათ, მეფე ლიმილით დაემშვიდობა ვაზრი-
დიდებულებს, რომლებიც ჰგოდებდნენ მეფის დაკარგვას:

„და მოიწივნეს ათორმეტნი მხედარნი ყაენისნი, რა-
თა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ. ხოლო ვითარ
ცნა მეფემან საკუდილი თავისა თვისისა, მხიარულითა
პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა. და
ყოველთა მთავართა იწყეს ტირილად და განვიდეს გა-
რე“-ო.

1289 წლის 12 მარტს მეფე დიმიტრი სიკვდილით იქმ-
ნა დასჯილი, რომლის წინ მემატიანის სიტყვით: „ილოც-
ვიდა ცრემლთა მოდინებითა ქვეყანასა ზედა“-ო, ხოლო
პოეტის თქმით:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურ. 2. მეფე დიმიტრი ყაენის წინაშე.

„ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი:
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაქკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია“.

(ი. ჭავჭავაძე, დიმიტრი თავდადებული).

„მერმე წარუპყრა ქედი და წარჰკვეთეს მეფეს დიმიტრის თავი“-ო.

— «ჰა, ჯალათო!» — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა“.

ყაენის ურდოში ნებაყოფლობით მისულის და იარაღ აყრილ მეფის სიკვდილით დასჯა ამჟღავნებდა არღუნ ყაენის სულმდაბლობას, რაც საშინლად აღელვებდა მამაც მეფის ამალას.

„ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაჰხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედ[redacted]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ შურისძიებით გაბოროტებულ ძლიერ ყაენის წინაშე მეფის მცირე ამალა უძლური იყო.

„რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი“.

მეფის ამალას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ყაენის ჯალათები ყარაულობდნენ მეფის ნეშტს, რათა იგი ქართველებს არ მოეპარათ. მაშინ ქართველებმა მოისყიდეს ყარაულები, მოიპარეს მეფის ნეშტი და თბილისელმა ვაჭრებმა, რომლებსაც თევზი მოჰქონდათ, იგი მალულად წამოასვენეს. მეფე დიმიტრი დაასაფლავეს მცხეთაში.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა ამ უშიშარ და რაინდ მეფის სიცოცხლე. მან გვიჩვენა თავისი ხალხისათვის თავგანწირვის იშვიათი მაგალითი.

ასეთ თავგანწირვისათვის ისტორიამ მას ღირსეულად უწოდა თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი.

პ/მ რედაქტორი პროფ. **ს. კაკაბაძე**

შეკვეთის № 447 უე 6981 ტირაჟი 2500

[redacted] პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.